

**კომერციული ბანკის საიმედოობის ანალიზისა და
საინვესტიციო მიმზიდველობის მაჩვენებლების
სისტემა, ეკონომიკური შინაარსი და
ბაზანგარიშების მეთოდი**

გიორგი სუბელიანი

ლევან ბოგვერაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტები

შესავალი

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ბანკების მიმართ ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის ამაღლებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორების და პირობების გამოკვლევა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, რომ განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ურთიერთქმედების ზეგავლენა მთელი საბანკო სისტემის მდგრადობაზე.

საბანკო სისტემაში უკანასკნელ პერიოდში არასაიმედო აქტივების მქონე ბანკებში ჩატარებული რეფორმები რეფორმებმა და ისეთი ბანკების დახურვამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური სანესდებო კაპიტალის შექმნა, რამაც, თავის მხრივ, ნაწილობრივ, ხელი შეუწყო საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე პირობებში ბანკების საქმიანობის კონტროლის სისტემა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. გარდა აღნიშნულისა, კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ზედამხედველობის ამაღლების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ განხორციელდეს ნორმატიული ბაზის შემდგომი განმტკიცება, რომელიც მიმართული იქნება კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების წესის სრულყოფისაკენ. ასევე სრულყოფას მოითხოვს ზედამხედ-

ველობის მიზნით განსაზღვრული „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი აზრით, რომ ზუსტად დადგინდეს კომერციული **ბანკების აქტივების** მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ და ამასთან უფრო სრულყოფილად განისაზღვროს კომერციული ბანკებისათვის მთავარი მაჩვენებელი - **ბანკის კაპიტალის საკმარისობა**.

საკვანძო სიტყვები: ბანკის კაპიტალის საკმარისობა, აქტივების და პასივების ხარისხი, საკრედიტო პორტფელი, საინვესტიციო პორტფელი, დეპოზიტები, ფინანსური აქტივები.

ძირითადი ტექსტი

კლასიფიკაციის ფაქტორების განხილვისას, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელიც ახდენს პირდაპირ გავლენას ბანკის საიმედოობასა და საინვესტიციო მიმზიდველობაზე. ესენია: ბანკის ფინანსური მდგომარეობა, საიმედოობა, მსესხებელ კლიენტების მდგრადობა და ბანკის ძირითადი სტრატეგია.

მაჩვენებლების სისტემა, რომელიც განკუთვნილია ბანკის საიმედოობის ანალიზისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზისთვის, მოიცავს სამ ჯგუფს:

1. მაჩვენებლები, რომელიც გამოსახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, პასივების მაჩვენებლები, კაპიტალის ოდენობა, შემოსავლები და ლიკვიდურობა).

2. მაჩვენებლები, რომელიც გამოსახავენ ბანკის მეთოდის ხარისხს კლიენტ-მსესხებლების შერჩევისას.

3. მაჩვენებლები, რომელიც აღწერენ ბანკის სტრატეგიის დაცვას.

როგორც წესი, საბანკო სტრატეგიები გარკვეული პერიოდისთვის (მაგალითად 1 წელი) მიმართულია:

- შემოსავლების ზრდისკენ;
- კლიენტების რაოდენობის ზრდისკენ (როგორც მსესხებლების, ასევე ინვესტორების)
- ბანკის მხრიდან დავალიანების არსებობის შემთხვევაში მისი შემცირებისკენ;

- საკუთარი კაპიტალის ზრდისკენ.

განვიხილოთ თითოეული მაჩვენებელი სათითაოდ:

ბანკის კაპიტალის საკმარისობა

ბანკის კაპიტალის საკმარისობა არის მაჩვენებლების სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ასახავს კომერციული ბანკის საიმედოობასა და საინვესტიციო მიმზიდველობას.

საკმარისი კაპიტალი, როგორც ცნობილია, ქმნის ერთგვარ „ბუფერს“, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს დარჩეს გადახდისუნარიანი და გააგრძელოს თავისი საქმიანობა მიუხედავად სხვადასხვა მოვლენებისა. მაშინ როდესაც არასაკმარისი კაპიტალის მქონე ბანკი მაკროეკონომიკური ფაქტორების გაუარესების შემთხვევაში იმყოფება გაკოტრების მაღალი რისკის ქვეშ. ბანკები, ტრადიციულად ცდილობენ რომ შეინარჩუნონ კაპიტალი ფექტურობის გაზრდის მიზნით, ოპერაციების მასშტაბზე ეკონომიის გზით და ინვესტიციების შემოსავლების გაზრდის მიზნით. დაზვერვის ორგანოები კი პირიქით, უპირატესობას ანიჭებენ საბანკო სისტემების მდგრადობის ზრდას.

განვიხილოთ „საკმარისი კაპიტალი“-ს რამდენიმე განმარტება.

„კომერციული ბანკები“-ის წიგნის ავტორები ე.რიდ, რ.კოტტერ, ე.გილ და რ.სმიტ შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: „კაპიტალის საკმარისობა - ეს არის ბანკის უნარი დააკომპენსიროს დანაკარგები და განსაზღვროს გაკოტრება“. მსგავს მოსაზრებას იზიარებს გ.გ.ფეტისოვი თავის ნაშრომში და განსაზღვრავს საკმარის კაპიტალს როგორც ბანკის უნარს გააგრძელოს სტანდარტული საქმიანობა იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა ამა თუ იმ მიმართულებით განიცდიდეს დანაკარგებს.

გ.გ. ფეტისოვი ასევე გამოყოფს საკმარისობის ფაქტორებს: პირველ რიგში, კაპიტალის საკმარისობა დამოკიდებულია ჩადებული ოპერაციების მოცულობაზე, რომელსაც ახორციელებს ბანკი, ან ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციების მოცულობაზე დროებით თავისუფალი რესურსების მოსაზიდად

იურიდიული თუ ფიზიკური პირების სახით. მეორე ფაქტორია, რისკების სიდიდე, რომელსაც იღებს თავის თავზე ბანკი, როდესაც ახორციელებს აქტიურ ოპერაციებს. ოპტიმალური საბანკო პოლიტიკა კაპიტალიზაციის კუთხით შედგება იმაში, რომ შეინარჩუნო მისაღები რისკის დონე საკუთარი კაპიტალის ეტაპობრივი ზრდით.

ა.დ.შერემეტი და გ.ნ.შერბაკოვა თავის ნიგნში „ფინანსური ანალიზი კომერციულ ბანკებში“ საკმარისობაზე აღნიშნავენ: „**ბანკის კაპიტალის საკმარისობის** (ან ადეკვატურობის) ცნება მოიცავს თავის თავში ისეთ თვისებებს, როგორიცაა საიმედოობა, ბანკის მდგრადობა, მისთვის არასასურველი ფაქტორების მიმართ დაპირისპირება, ზარალის მხრიდან დანაკარგების შთანთქმის უნარი“.

შემოაღნიშნული განმარტებებიდან ჩანს, რომ კაპიტალის საკმარისობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორების მიერ მოყვანილ განმარტებებს შორის მკვეთრი სხვაობა არ აღინიშნება. მაშასადამე, **ბანკის კაპიტალის საკმარისობა** არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საიმედოობისა და სანდოობისა, რაც განაპირობებს რომ ბანკი დარჩეს გადახდისუნარიანი, გააჩნდეს დანაკარგების კომპენსაციის უნარი, განსაზღვროს გაკოტრების საშიშროებები, იმის მიუხედავად თუ როგორი სახის დანაკარგები ან პრობლემა შეიძლება ჰქონდეს.

საკმარისობის მაჩვენებლები, რომელსაც იყენებენ დაზვერვის ორგანოები, სარეიტინგო კომპანიები, უშუალოდ ბანკები შესაძლოა პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად:

- პირველი ჯგუფი შედგება საკუთარი კაპიტალის და სხვადასხვა ფონდების დამოკიდებულებისგან სხვადასხვა ტიპის ვალდებულებებისადმი;

- მეორე ჯგუფი დამყარებულია **ბანკის კაპიტალისა** და მისაღები აქტივების დამოკიდებულებაზე;

საკუთარი კაპიტალი და შენატანი (ბანკის ვალდებულება) დამყარებულია კაპიტალის განხილვაზე მსესხებლების (ინვესტორების) დაცვის მიზნით. კაპიტალისა და აქტივების დამოკიდებულება კი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის საკმარისობა

უნდა აჩვენებდეს როგორი ზარალები შეიძლება ქონდეს ბანკს შემომტანების და ინვესტორების ინტერესებისთვის ზიანის არ მიყენებით. ანუ, კაპიტალი განიხილება ამორტიზატორის როლში, რომელიც გვეხმარება ხელი შევეშალოთ აქტივების რეალური ღირებულების ვარდნას. პრაქტიკული გადმოსახედიდან ეს მოსაზრება სწორია, რადგან ზარალის წარმოშობის შემთხვევაში ზარალი იფარება არა მოზიდული რესურსების ხარჯზე, არამედ საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის შეფასების ზემოაღწერილი მეთოდები ზოგჯერ ხდება ხოლმე კრიტიკის მსხვერპლი ეკონომიკურ ლიტერატურაში, რადგან შეუძლებელია მათ საფუძველზე დამაკმაყოფილებელი ხარისხით გათვალისწინებული ბანკის გაკოტრების საკითხი, ასევე სუბიექტური შეფასების მქონე კრიტერიუმების გამო. დღეისათვის, მიღებულად ითვლება ფორმულა, რომლის მიხედვითაც კაპიტალის საკმარისობა ითვლება როგორც შეფარდება საკუთარი კაპიტალის აქტივების ჯამთან.

შემდეგი მაჩვენებლების გამოყენებაა რეკომენდებული **ბანკის კაპიტალის საკმარისობის** შეფასებისას: საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი ჯამური ვალდებულებებით, საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი მომგებიანი აქტივებით და საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი აქტივებით, რომელიც შეფასდება რისკის დონით.

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის ჯამური ვალდებულებებით შეფასების ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია დაავადგინოთ, როგორია საკუთარი კაპიტალით დაფარული ჯამური ვალდებულებების წილი და შევადაროთ სხვა ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ის გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / ბანკის ჯამური ვალდებულებები კლიენტების წინაშე.

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი მომგებიანი აქტივებით საშუალებას გვაძლევს შევადაროთ საკუთარი კაპიტალის სიდიდე მის აქტივებთან, რათა განვსაზღვროთ როგორია საკუთარი კაპიტალის საკმარისობის დონე ფინანსური ვალდებულებების დასაფარად კლიენტებისთვის ყველა გაცემული სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

აღნიშნული კოეფიციენტი ითვლება შემდეგი ფორმულით:

საკმარისობის კოეფიციენტი აქტივებით = საკუთარი კაპიტალი / მომგებიანობის მომტანი აქტივები (ფასიანი ქაღალდები, გაცემული კრედიტები, ბანკის ინვესტიცია და ა.შ.)

მესამე მაჩვენებლის - საკუთარი კაპიტალის რისკების დონეზე შეფასებული აქტივების საკმარისობის ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოსახოს ბანკის საკუთარი კაპიტალის და სხვადასხვა მომგებიანი აქტივების დამოკიდებულება, იმ ვალდებულებების ჩათვლით, რომელიც დიდი ალბათობით შეიძლება ვერ დაიბრუნოს ბანკმა მიუხედავად სხვადასხვა ტიპის შეთანხმებების არსებობისა.

აქტივებისა და პასივების ხარისხი (ბანკის ფინანსური სტაბილურობა).

კაპიტალის საკმარისობის გარდა, საიმედოობის ანალიზისას ძალიან დიდ როლს თამაშობს აქტივებისა და რესურსული ბაზის ხარისხი, ანუ კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობა.

ტრადიციულად, პასივების ხარისხი ხასიათდება რესურსების ბაზის სტაბილურობით, მოზიდვის ხარჯებით, პროცენტული მაჩვენებლების ცვლილებებისადმი მგრძნობიარეობით და გარე დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულებით, ისეთების, როგორიცაა მოკლევადიანი კაპიტალის ბანკთაშორისი ვაჭრობა.

სასწრაფო და შემნახველი **დეპოზიტები** ქმნიან მოზიდული რესურსების ნაწილს, რომელიც დამოკიდებულია პროცენტული მაჩვენებლების ცვლილებებზე. მაგრამ ყველაზე მეტად მგრძნობიარე ცვლილებებისადმი არის ბანკთაშორისი კრედიტები, რომელიც განიხილება როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ დროებითი დაფინანსების წყარო.

აქტივების ხარისხის ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა სასესიო ოპერაციებს და ფასიან ქალაქებში ინვესტიციას. გამოიყოფა შემდეგი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს **აქტივების ხარისხზე**. **აქტივების ხარისხზე** გავლენას ახდენს კომერციული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა, კრედიტების და ინვესტიციების დივერსიფიკაციის ხარისხი, პრობლემური სესხების ეფექტური მართვის სისტემა, ინსაიდერებთან გაფორმებული შეთანხმებების მოცულობა და ხასიათი, კრედიტუნარიანობისა და მსესხებლების სანდოობის კუთხით ჩატარებული ანალიზის სისწორე.

ბანკის **აქტივების ხარისხი**, როგორც წესი, იზომება მათი ლიკვიდურობის, რისკიანობის და შემოსავლიანობის კუთხით. კლასიკური ანალიზის სისტემა შემდეგნაირად გამოიყურება: თავდაპირველად აქტივებს ყოფენ ლიკვიდურობის, საბრუნავი საშუალებების და არალიკვიდური საშუალებების მიხედვით. ითვლება, რომ დაბანდებები ბანკში უნდა იწარმოებოდეს საკუთარი სახსრების ხარჯზე, რადგან გრძელვადიანი დაბანდებები განსხვავდება მცირეხნიანი მოზიდული საკრედიტო რესურსებისგან. შემდეგ უკვე ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტივების სტრუქტურის ანალიზი. ამ ეტაპზე განგაშის სიგნალი ტყდება ისეთ შემთხვევაში როდესაც იკლებს საბრუნავი საშუალებების ოდენობა და იმატებს არალიკვიდური სესხების წილი. მესამე ეტაპზე ხდება მოქმედ აქტივებზე ანალიზის ჩატარება. ამ ეტაპზე საკვანძო მომენტს წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების რისკიანობის ანალიზი და შეფასება. ეს ანალიზი საჭიროა შექმნილი რეზერვების საკმარისობის დასადგენად და აქტიური ოპერაციების მართვის ეფექტურობის დასადგენად.

საბრუნავი საშუალებების მთავარ კომპონენტს წარმოადგენს სესხები. შესაბამისად, **საკრედიტო პორტფელის** ანალიზი არის ამ ეტაპის მთავარი ნაწილი. კერძოდ კი ხდება იმ პრობლემური სესხების ანალიზი, რომელთა პროცენტის ან ძირითანხის გადახდის საკითხი ეჭვქვეშ დგას ან სულაც შეწყვეტილია, რის შემდეგაც მიმდინარეობს პრობლემური სესხების შემცირებისკენ მიმართული გეგმების შემუშავება.

საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია და პრობლემური სესხების გამოყოფა საკრედიტო რისკის კონცეფციაზეა ანუ ანუ. პრაქტიკაში, კრედიტის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისთვის ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებს მსესხებელი იმ ვადებსა და პირობებს, რომელიც შეთანხმების მიხედვით ეკისრება.

კომერციული ბანკის აქტივების დიდ ნაწილს შეადგენს ფასიანი ქაღალდებში ინვესტიციები. ამიტომაც არის მარეგულირებელი ორგანოების და ხელმძღვანელობის ინტერესი **საინვესტიციო პორტფელის** კარგ მაჩვენებლებამდე მიყვანა. საკრედიტო პორტფელის ანალიზის ანალოგიურად მიმდინარეობს ფასიანი ქაღალდების პორტფელის ანალიზიც. თუმცა, ამ ინსტრუმენტის სპეციფიურობის გამო **საინვესტიციო პორტფელის** ანალიზს ახალიათებს თავისებურებებიც.

საბრუნავ საშუალებებს აკავშირებენ შემდეგ ფაქტორებთან: სასხესხო პორტფელის ხარისხი, აქტივების მომგებიანობა, აქტივების რისკიანობის ხარისხი, საბრუნავი აქტივების წილი, აქტივების დივერსიფიკაცია, ვადაგადაცილებული სესხების წილი.

ცხადია, რომ **აქტივებისა და პასივების ხარისხი** სხვა არაფერია, თუ არა კომერციული ბანკების ფინანსური მდგრალობის მაჩვენებელი.

მაშასადამე, ბანკის ფინანსური მდგრალობის ანალიზისთვის, მე გთავაზობთ შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებას: პასივების ხარისხის კოეფიციენტი მიმდინარე გაანგარიშებებით დათვლილი, პასივების კოეფიციენტი **სადეპოზიტო** ოპერაციების მიხედვით, პასივების კოეფიციენტი შემომავალი აქტივებით, **აქტივების ხარისხის** კოეფიციენტი საბრუნავი საშუალებების მიხედვით, **აქტივების ხარისხის** კოეფიციენტი გაცემული სესხების მიხედვით.

პასივების ხარისხის კოეფიციენტი მიმდინარე გაანგარიშებით დათვლილი მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო დიდია კლიენტების მიერ მიმდინარე საბანკო ანგარიშები და ვალდებულებები ბანკის მიმართ, მით უფრო დიდი დროებით თავისუფ-

ფალი რესურსები აქვს ბანკს, რომელსაც გასცემს კლიენტების სასარგებლოდ მინიმალურ პროცენტში. გარდა აღნიშნულისა, ვინაიდან სახსრების ზრდა მიმდინარე ანგარიშებზე მოწმობს ან სახსრების ზრდაზე უკვე არსებული კლიენტების ანგარიშებზე, ან კლიენტების რიცხვის ზრდაზე. ასევე, აღნიშნული სახსრების გამოყენების ფორმები შესაძლოა იყოს მხოლოდ მცირეხნიანი, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება მოითხოვოს კლიენტმა აღნიშნული სახსრები. პასივების ხარისხის კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

პასივების კოეფიციენტი მიმდინარე სახსრების მიხედვით = კლიენტების სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე / ჯამურ საბანკო ვალდებულებაზე კლიენტების მიმართ.

პასივების ხარისხის მაჩვენებელი სადეპოზიტო ოპერაციების კუთხით გამოხატავს დამოკიდებულებას სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებული თანხებისა ბანკის ჯამურ ვალდებულებებთან მიმართებით. სადეპოზიტო ანგარიშებზე თანხები წარმოდგენილია კლიენტების სახსრებით, რომელიც გადაცემულია ბანკისთვის სასწრაფო მოხმარებისთვის, საიდანაც ბანკი სარგებლობს გარკვეული შესაძლებლობით ამ სახსრების გამოსაყენებლად.

პასივების ხარისხის კოეფიციენტი სადეპოზიტო ოპერაციებით = სადეპოზიტო ანგარიშებზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ არსებული შენატანები / კლიენტების წინაშე ბანკის ჯამური ვალდებულებები.

პასივების ხარისხის კოეფიციენტების ერთობლივი მოქმედება აღწერს ბანკის კლიენტების ბაზის დივერსიფიკაციის ხარისხს. დივერსიფიკაციის ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება დამოკიდებულება დროებით დავისუფალი ფულადი სახსრების და კლიენტების სახსრებისა.

საბრუნავი საშუალებების მიხედვით პასივების ხარისხის კოეფიციენტი მდგომარეობს იმაში, რომ ფორმულაში ასახული დამოკიდებულება ჯამური ვალდებულებების და აქტივების სიდიდის პროპორცია აჩვენებს : 1. ბანკის მიერ მოზიდული სახსრების ეფექტურად გამოყენების დონეს, 2. საბანკო სისტემის

სტრუქტურის მიმართ მოზიდული სახსრების დამოკიდებულება (ჯამური ვალდებულებები) და ბანკის დამოკიდებულება მსესხებელ-კლიენტების არსებობაზე. იდეალური მნიშვნელობა ამ კოეფიციენტის ახლოსაა ერთთან. თუ ის ერთზე მეტია, ეს ნიშნავს რომ ბანკმა არ გამოიყენა ყველა სახსრები კრედიტისთვის, ანუ არ მუშაობს ეფექტურად. ერთზე ნაკლები მნიშვნელობის არსებობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი აღნიშნავს რომ ბანკი იზიდავს საკუთარი კაპიტალის ნაწილს საკრედიტო ოპერაციებისთვის, რაც რეალურად ეწინააღმდეგება საბანკო კანონმდებლობის პრინციპებს.

შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები (ისეთი აქტივები რომლებიც შემოსავალს გამოიმუშავენ) = ბანკის ჯამური ვალდებულებები კლიენტების წინაშე / საბრუნავ საშუალებებზე

შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივების კოეფიციენტის განხილვისას , შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა: აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, აქტივების რომელი ნაწილი გამოიყენება ბანკის ძირითადი საქმიანობისთვის - შემოსავლის მიღება საკრედიტო ოპერაციების ხარჯზე. ეს კოეფიციენტი მნიშვნელოვანია ბანკის საქმიანობის ეფექტურობის დასაანახად, ვინაიდან აქტივები, რომელიც არ გამოიყენება შემოსავლების სახით, წარმოადგენენ როგორც წესი ბანკის საკუთრებას, რომელსაც პირდაპირი შემოსავალი ბანკისთვის არ შემოაქვს.

აქტივების ხარისხის კოეფიციენტი = შემოსავლის მქონე აქტივები / ყველა აქტივზე.

გაცემული სესხების მიხედვით აქტივების კოეფიციენტი გამოხატავს დამოკიდებულებას გაცემულ სესხებსა და შემოსავლის მქონე აქტივებს შორის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს რა წილს შეადგენს კლიენტებზე გაცემული სესხები მთლიან შემოსავლების მქონე აქტივებში და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ბანკის საქმიანობა საკრედიტო ბაზარზე.

აქტივების ხარისხის კოეფიციენტი (კრედიტორების წილი) = კლიენტებზე გაცემული კრედიტები (ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე) / ყველა შემოსავლის მქონე აქტივებზე.

დასკვნა

იმისათვის, რომ სწორად გავაკეთოთ კომერციულ ბანკებში ინვესტიცია, აუცილებელია მათი საიმედოობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება. სწორედ ამ მიზნით არის სტატიაში განხილული ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს კომერციული ბანკების საიმედოობასა და საინვესტიციო მიმზიდველობაზე. განმარტებულია **ბანკის საკუთარი კაპიტალის** არსი - როგორ გამოითვლება მისი საკმარისობის მნიშვნელობა. რა თამაშობს კომერციული ბანკების საიმედოობის ანალიზისას დიდ როლს და რითი ხასიათდება იგი. რითი იზომება კომერციული ბანკების აქტივების ხარისხი და როგორ გამოიყურება კლასიკური ანალიზის სისტემა. რა წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების მთავარ კომპონენტს და რატომ არის საკრედიტო ფორტფელის ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. რა შეადგენს კომერციული ბანკების აქტივების დიდ ნაწილს და რატომ არის მარეგულირებელი ორგანოების და ხელმძღვანელობის ინტერესი საინვესტიციო ფორტფელის კარგ მაჩვენებლამდე მიყვანა. რომელი კოეფიციენტები გამოიყენება კომერციული ბანკების მდგრადობის ანალიზისთვის და რა მნიშვნელობა აქვს მათ გამოანგარიშებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია გ., საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.
2. კაკულია რ, ხელაია გ, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია.
3. ცაავა გ., საბანკო საქმე ;
4. <http://younggreens.ge>;
5. <http://greenalt.org>;
6. <http://www.nplg.gov.ge>.

REFERENCES:

1. G. Gamsakhurdia. The main problems of financial policy of Georgia at the modern stage (in Georgian Language);
2. R. Kakulia; G. Khelaia. Money circulation and the general theory of credit. (in Georgian Language);
3. G. Tsaava. Banking;
<http://younggreens.ge>;
<http://greenalt.org>;
<http://www.nplg.gov.ge>.

**COMMERCIAL BANK RELIABILITY ANALYSIS AND INVESTMENT
ATTRACTIVENESS INDICATORS SYSTEM. ECONOMIC CONTENT
AND THE METHOD OF CALCULATION.**

Giorgi Subeliani; Levan Bogveradze.

PhD Students at the Faculty of
Business Technology of GTU

RESUME

In order to make proper investment in a commercial bank, it is mandatory to measure their reliability and attractiveness. This article considers the main factors, which directly affects the reliability and investment attractiveness of commercial bank. There is explained: the essence of the bank's own capital, how it is calculated and its value sufficiency, furthermore what plays an important role in analyzing the reliability of commercial banks and how it is characterized; how is measured commercial banks' asset quality and classic look to the analysis system; what is the main component of working capital and why is one of the most important issues portfolio analysis; which parts consists commercial banks' assets and why the regulatory authorities and their management care the lead of portfolios higher index; which ratios are used for analyzing commercial banks stability and the importance of their calculation.

Keywords: bank capital sufficiency, quality of assets and liabilities, the credit portfolio, deposits, financial assets.